სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბრძანება

N 1.1/ 108

ქ.თბილისი

23. 08 .2019 წ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოსადგენი ანკეტა-კითხვარისა და მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის წარმოსადგენი ფორმების დამტკიცებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ანკეტა-კითხვარის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარმოდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე და 57-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N111/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პირის მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის“ მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და მე-6 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს, **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოსადგენი ანკეტა-კითხვარის** ფორმა წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად (N1 დანართი ელექტრონული სახით თან ერთვის ბრძანებას CD დისკის მეშვეობით).
2. დამტკიცდეს, **მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის წარმოსადგენი** ფორმა შემდეგი რეკვიზიტებით წინამდებარე ბრძანების N2 დანართის შესაბამისად (N2 დანართი ელექტრონული სახით თან ერთვის ბრძანებას CD დისკის მეშვეობით):
   ა) ჩარიცხული პირის სახელი;
   ბ) ჩარიცხული პირის გვარი;
   გ) ჩარიცხული პირის პირადი ნომერი;
   დ) ჩარიცხული პირის საგამოცდო (naec) ნომერი;
   ე) ჩარიცხული პირის მიერ ჩაბარებული საგანი საფეხურის მითითებით;
   ვ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამის მოდული საფეხურის მითითებით;
   ზ) პროგრამის/მოდულის საფასური;
   თ) დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულა;

ი) პროგრამაზე/მოდულზე ჩარიცხვის ბრძანების თარიღი;

კ) პროგრამაზე/მოდულზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი;

ლ) არის თუ არა პირი გათვალისწინებული დაწესებულების მიერ დასაფინანსებელთა რაოდენობაში დიახ/არა;

მ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება;

ნ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხუთნიშნა უნიკალური კოდი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მიხედვით.

3. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ანკეტა-კითხვარის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარმოდგენის ვადად განისაზღვროს - 2019 წლის 2 სექტემბრიდან - 2019 წლის 6 სექტემბრის ჩათვლით.**
4. დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდზე განთავსების გზით.
5. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინსიტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საფუძველი: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მენეჯერის უმაღლესი განათლების მიმართულებით - სოფიო უგრეხელიძის 2019 წლის 21 აგვისტოს N1072929 სამსახურებრივი ბარათი.

უფროსის მ/შემსრულებელი — მაია სიმონიძე